სამსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2012 წელი 6 ივნისი
ქ. ბათუმი

სარჩევი

საკონკურსო განცხადება ---------- 3

ტექნიკური დავალება---------- 5

ხელშეკრულების პროექტი ---------- 6

საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი №1 ---------- 11

საკონკურსო განცხადება

1. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (მის: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119) აჭარის ა.რ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: სამსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც უნდა შედგებოდეს არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილისიგან.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **6000** ლარს.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 20 ივლისს 10 საათიდან 2012 წლის 20 ივლისს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

5. კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 20 ივლისს 17:30 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119 აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

6.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით. (50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

14. საკონკურსო წინადადებაში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი N1-ის მიხედვით;
ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
გ) შესყიდვის ობიექტზე მომუშავე ძირითადი სპეციალისტების განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლები.
დ) განმარტებითი ბარათი.
ე) შესყიდვის ობიექტის სართულების გეგმარების სქემა ძირითადი ზომებისა და ფართობების ჩვენებით. (A3 ფორმატი).
ვ) შესყიდვის ობიექტის ვიზუალიზაცია 3 D ფორმატით. (A3 ფორმატი).

შენიშვნა: აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული სახითაც pdf ფორმატით.

15. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. საპროექტო წინადადების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა. კოეფიციენტი - 0.5
2. საპროექტო შენობის ეკონომიკური და პრაქტიკული განხორციელება. კოეფიციენტი - 0.3
3. მომსახურების მიწოდების ვადა. კოეფიციენტი - 0.2

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

16. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 25 დღის განმავლობაში არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის წარმოდგენა.

17. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

18. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119, მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: ნუგზარ ძნელაძე ტელ: 577 20-37-27; სულხან მამუჭაძე ტელ: 577 90-60-43.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სამსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი, რომელიც უნდა შედგებოდეს არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილისიგან.

შენობა-ნაგებობის სამშენებლო ფართი 380-420 მ^2

ძირითადი მოთხოვნა:

პროექტებისას გათვალისწინებული იქნას აჭარის რეგიონში გავრცელებული საცხოვრისის მოწყობის პრინციპები (კლიმატი, განაშენიანების ხასიათი და მასშტაბები). დაგეგმარდეს ავტოსადგომი,სამეურნეო სათავსო, სამზარეულო, სასადილო და საერთო ოთახები, სველი წერტილი/ები. მინიმუმ სამი საძინებელი ოთახი.

პროექტირებისას გათვალისწინებული იქნას ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მენაშენეთა ძირითადი ნაწილის მატერიალური შესაძლებლობები.

გეგმარებისას გათვალისწინებული იქნას სამეზობლო მიჯნის ზონაში შენობის განთავსების შემთხვევაში ღიობების გაუქმება საპროექტო სათავსების განათებულობისა და სრულფასოვანი გამოყენების მოთხოვნების შენარჩუნებით.

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი უნდა შეიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს.
2. ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებელს.
3. არქიტექტურულ პროექტს, ასაშენებელი შენობის ვიზუალიზაციას;
4. კონსტრუქციულ პროექტს სათანადო დეტალიზაციით;
5. წყალმომარაგებისა და წყალარინების (კანალიზაციის) შიგა ქსელის პროექტს;
6. ელექტრო მომარაგების შიგა ქსელის პროექტს;
7. სუსტი დენების პროექტს (ტელეფონი, ინტერნეტი და ტელევიზია);
8. მშენებლობის ორგანიზების პროექტს.
9. მთლიანი დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიას;

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

შენიშვნა: კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით.

<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი</u>

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

<u>ხელშეკრულება N</u>

ქ. ბათუმი, ... 2012 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, მინისტრის პირველი მოადგილის სულხან ჯორთმენაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ..... სახით (შემდგომში მიმწოდებელი), N----- კონკურსის ჩატარების შედეგად, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71300000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. <u>ხელშეკრულების საგანი და ღირებულება</u>

1.1. შესყიდვის ობიექტია: სამსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

2. <u>ხელშეკრულების შესრულების კონტროლი</u>

2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნუგზარ ძნელაძე – ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსი;

ბ) სულხან მამუჭაძე – ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი;

გ) დავით მაკარაძე – ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი;

დ) მირიან მეტრეველი – ურბანული განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ე) ზაალ ბაჯელიძე - ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ვ) თემურ გიორგაძე - ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

3. <u>შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები</u>

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაცია წარმოადგინოს ტექნიკური დავალების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 25 დღის განმავლობაში.

3.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით PDF ფორმატში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

5.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

6. ფასები

6.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

6.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

6.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

12.1 მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

12.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	
ტელ: (8) (422) 27-35-10	ტელ:
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	
ბანკის კოდი – BAGAGE22	
ა/ნ – GE78BG0000000886744500	
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	
მინისტრის პირველი მოადგილე:	
——————————— /ს. ჯორთმენაძე/ ბ. ა.	

საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის იურიდიული მისამართი:
4. კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:
5. საიდენტიფიკაციო კოდი:
6. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
7. ელექტრონული ფოსტის მისამართი:
8. მომსახურე ბანკის დასახელება:
9. ბანკის კოდი:
10. ანგარიშის ნომერი:
11. **საკონკურსო წინადადების ფასი:**

კონკურსანტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი _____

შენიშვნა: **მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული.**